

დავით დავით

**მეზა ჰოტელი**



დავით დავი

# მეფე პოეტი

★ სერია ცა ★

შესრულებულია XXI საუკუნეში

## დავით დეფი. მეფე პოეტი

გარეკანის დიზაინი – ნატო ყუბანიშვილის  
დიზაინი და დაკაბადონება – მანანა მაჭავარიანის

გამომცემლობის რედაქტორი: ლია შალვაშვილი

- © დავით დეფი  
შესრულებულია XXI საუკუნეში
- © გამომცემლობა „შემეცნება“, სერია ცა  
თბილისი, ანტონოვსკაის 9ბ  
ტელეფონი: 260-23-15  
ელ. ფოსტა: [info@shemetsneba.ge](mailto:info@shemetsneba.ge)

სერია ცა  
ISSN 1987-6955

დავით დეფი. მეფე პოეტი  
ISBN 978 9941-428-27-2

**მეზა პოეტი**



და მეფე პოეტი ტოვებდა ქვეყანას. ცას აჰყურებდა. გრძნობდა სინმინდეს.  
ხალხი მოაწყდა. სევდა ეხატათ. ირგვლივ დაუდგნენ. ხმა გაიკმიდეს.  
მობრუნდა მათკენ. სიჩუმე აუფლა. ოქროს მდუმარება გულებში ჩაუდო.  
თავისი სიტყვებით ენათა საუბარს, სული ფრთიანი იქმყოფთა საუფლოდ:

„სიმართლეს გეტყვით თუ კი რამ მითქვამს, თუ რამ მიფიქრია ახლა ან ოდესმე,  
ცოცხალი ძალა აქვს ყველა ჩემს სიტყვას, გაგაცოცხლებენ როცა კი მოისმენთ.  
ვტოვებ დედამიწას მე მხოლოდ სხეულით, მე თვითონა ვარ ჩემი შინაარსი.  
არსობა ჩემი, თქვენვე გეკუთვნით. ნყალი უკვდავების ღვინოდ დაასხით.

მე თქვენ შეგმოსეთ დიდი ბრწყინვალეობით. მე თვითონ მმოსავს სიტყვების სიმართლე.  
ის ქვეყნად ერთია, სანამ იწამებდით, თქვენნივე გულებში ის თვითონ ინათებს.  
ის გადაგარჩენთ. ისვე განუგეშებთ. შინ მაცხოვრებლებს გაღმა დარჩენილებს.  
სიმშვიდეს მოგიფენთ გულისვე უბეში, ის მოგიფონებთ. გაგამარჯვებინებთ.

ჩემი სამეფო თქვენი გულებია. საუნჯე ჩემი, სიტყვები მათში.  
ისინი ყოველთვის თქვენთან ბრუნდებიან, ქარი საუკუნის მათ ველარ ნაშლის.  
ყოველი თქვენგანი ღმერთის სახით ივლის, თუ ნება დართო თავს პატიების.  
მონყალბისთვის მდაბლად და სიბრძნით, სიტყვებს მოისმენთ და ატირდებით.

განიკურნება განუკურნებელიც, თქვენ ამბობთ თავიდან იშვებით თითქოს?  
თუ წლები გავლენ საუკუნენი, ერთმანეთს მაშინ როგორღა იცნობთ?“  
პასუხს ელოდნენ მისგან მით უფრო მგოსანის ხმაში შუქი გალობდა.  
ყველა შეკრებილს ერთად მიუგო: „თქვენი გზა ვიქნები სულისვე წყაროდან,

სახებას შეიცვლის მთელი ქვეყანა, ღვინოდ დამლევენ პურად შემჭამენ,  
წარმოშობილნი თუ კი ღვთისგან ხართ თქვენ სიყვარულით იცნობთ ერთმანეთს.  
თქვენ დაიკარგეთ, არ იცით რა ქნათ, ყველგან შველას მთხოვთ, ყოველი მხრიდან.  
იყავით ახლოს სამოთხის კართან, მაგრამ იქ იმ კარს არავინ ხსნიდა.

სიბრძნე სავსეა ხშირად ეჭვებით, გულუბრყვილოა კაცთა სიშტერეც,  
სამოთხე თქვენშია და ვერ ეჩვენებთ, ყველაფერს ნახავთ თუ დაიჯერებთ,  
თუ გეყვარებათ ისე ერთმანეთი, საკუთარ თავზე როგორც აბოდებთ,  
თქვენივე კარიც თქვენ თვითონა ხართ, სიყვარულია თქვენი სამოთხეც.“

თქვა და გახედა ისევ დაფიონს, დილის ვარსკვლავი სულზე ეკრთოდა,  
რიჟრაჟის ნისლებმა გადააფინონ სიმშვიდე მათი ზეცის ზემოდან.  
„სანამ განვიშლები ჩემს გულს გაგიშლით, ჩემს აღსარებას აქ აღვასრულებ,  
ათასწლეულნი ქრებიან წამებში, მაგრამ სიტყვები არა სასრულნი



რჩებიან ყოველთვის და სამუდამოდ.“ ხელში აიღო ვარდის სამი რტო,  
„მოდით ეს ჟამი გავაუკვდავოთ.“ წამით შეეყოვნდა მერე დაიწყო:  
„ხმაურის შემდეგ სიჩუმეც მთავრდება, სიტყვებმა გაგანდეს წინა სიტყვები,  
სიმშვიდე ეშვება ფიქრებზე ფარდებად და იმ ფიქრებსაც სადღაიც მიჰყვებით.

ასე პირისპირ, ასე ცალ-ცალკე, სიზმარს ცხადისგან ველარ ანსხვავებით,  
სიკვდილ-სიცოცხლის დგახართ საზღვარზე, თითქოს არცა აქვს აზრი არაფერს.  
უნონობაში თითქოს სიზმართან, ზედ ზეცის სულზე ტივტივებს მინა.  
ხალხთა ნატერფალს გულში ინახავს მათ ბედისწერას გულითვე იცავს.

ჰო... დედამინა მნახველი ყოვლის, თუ კი რამ მოხდა, ხდება, მოხდება,  
თავის დიდ ვარსკვლავს გარს შემოუვლის და საჩუქრებად გასცემს ცხოვრებას.“  
ახლა ასეა ყველა მას უსმენს, საუნჯედ იღებენ სულისვე სარჩოდ,  
ჭეშმარიტებას იფენენ გულზე, მეფე პოეტის, რომელიც ამბობს:

“მე ჩემს შესახებ არაფერს ვამბობ. მე თქვენზე ვყვები თუ რამეს ვყვები.  
 გვერდიგვერდ არიან ყალბი და სანდო. რიყის ქვებს შორის ძვირფასი თვლები.  
 ყოველ თქვენგანში სამყაროს ვხედავ. სხვა და სხვა სამყაროს, სხვა და სხვა სიზმარს.  
 ხან მწვერვალისკენ, ხან ნატვრის ხესთან, ხან ცხრა მთას იქით გზას მგზავრი მიჰყავს.

თქვენა ხართ უდაბნო. ნალკოტიც თქვენა ხართ. თქვენა ხართ სიმდიდრეც და სიცარიელეც,  
 და სარეველაც იზრდება ვენახთან. მათ ერთი ნიადაგი განასახიერებთ.  
 საერთო ნიადაგი, ყველგან და ყოველთვის. საერთო წიაღი ყველაფრის ყველგან.  
 სევდის, სიხარულის სიმღერა მოგესმით. ყველას თქვენ თქვენი სახელი ერქვას.

სიცილი მესმის. სიხარულის ხმა. სამშვიდობოდან, მესმის სიმღერა.  
 წამს წამი გაჰყვა და მიერიოთმა. ამიერიდან კარგად იქნება,  
 ქვეყნად ყველაფერი. მენდე, ყველაფერი. მანდე ყველაფერი  
 თუ გემეტება. წამს წამი მოჰყვა და დრო ბგერებად  
 ამოგვესუნთქა, შუქებფერება.  
 შუქები, ჩვენი აზრები გახდნენ. ხმა ადამიანის, ღმერთისას აჰგავს.  
 მთელი სამყარო, ზრახვების სარკე, როცა აგიხდენს საკუთარ ნატვრას.

## 2

სიმართლისათვის ყველაფერს გასცემ. უფრო მეტს გასცემ ვიდრე სიცოცხლე.  
თავისუფლება სინათლით სავსე, გულში ვარსკვლავად მინდა იწვოდეს.  
ყოველი ცოცხალის გულშივე ენთოს, თანავარსკვლავედთა სული და სიმშვიდე.  
ბევრი წამებით წამი ქმნის ერთ დროს, თანავარსკვლავედებს ფრთებივით ვიშლიდე  
მე ახლა ძალიან, ძალიან მინდა. ძალიან მინდა. გესმის ეს რას ნიშნავს?  
თუ რამე გინდა ის მერე გამოდის, მაგრამ მანამდე ლეზულობ ნიშანს,  
შენ ნიშნებს მთლიანი სამყარო გაძლევეს. რწმენაც ეჭვისგან განიკურნება.  
გიყვარს და არ თმობ სინათლით სავსეს, ვარსკვლავს სახელად თავისუფლება.

## 3

ახლა რა მომდის მე ვერ აგისხნით. ძალას ვგრძნობ. მინდა ჰაერზე შევდგე.  
ვინ იცის რას ვგრძნობდი თუნდაც წამის წინ. ვინ იცის რას ვიგრძნობ ამ წამის შემდეგ.

გართულება ადვილია. გამარტივებაა რთული.  
ან სიზმრები სად მიდიან, სანამ მიწა ცას გარს უვლის.

წარსული - მომავალი, გაისმის დღეის ხმით. სუთქვას საკუთარს უსმენთ და ბევრს ფიქრობთ, როცა არჩევანს თვითონვე შეიქმნით, ის არჩევანი შეგქმნით თქვენ თვითონ. დედამიწას გრძნობთ ტერფებსქვევიდან. ხედავთ მშვიდობაც ბევრჯერ ომდება. სანამ ვინმე გძულთ და მას ვერ იტანთ, სწორედ ის მართავს მთელ თქვენ გონებას.

კვლავ აღმართს ხედავთ მიწის ზემოდან. ისევ ნაბიჯს დგამთ ასვლის პირობით, ვინ რა იცოდით ვის რა გელოდათ. გზას აგრძელებდით და იცინოდით. ბევრი დანებდა. უკან დაბრუნდა. გულს უთხრა უარი, მისივე წადილს. ბევრი გაშორდა სუნთქვას საკუთარს. ბევრი კი დღესაც მიზნისკენ ადის.

4

სტუმრობა ჩემი გულს გაგიხარებთ. მაგრამ მე მიყვარს განმარტოება. მხოლოდ მაშინ ვგრძნობ სულთა სიცხადეს. სინათლის მძივი ჩემს ტანს მოეხა. განმარტოება ყოველთვის მიყვარდა. ვისაც ყური აქვს სიტყვა ვუთხარი. ზეცა ახლოს დგას დედამიწასთან. ხან მასპინძელი, ხან ვარ სტუმარი.

ტანზე შუქები, ღამისკენ მივმართე. ღამე ყოველთვის მისიზმრებს ამ დროს. სამყაროს შემქმნელი გონების სიმართლე, ახლა აქაა, ჩემს გულში სახლობს, რადგან ჩვენა ვართ ერთი ერთმანეთით. სიმშვიდეს ვასხივებთ უსიტყვო ფიქრებად. ოქრო მეპნეოდა, ხელით ველარ ვხვეტიდი. იყო ასეთი დრო. სულ ასე იქნება.

განმარტოება არაფერს არ ჰგავს, როცა სურნელი ზღაპრული დგება, როცა კი ვხედავ ბავშვების ნახატს, თანავარსკვლავედებს მოვირგებ ფრთებად, მაშინ მე ის ვარ ვინც ყოველთვის ვარ. ჩემში უსასრულო დიდება მეფობს და სინათლე მაქვს ყოველი მხრიდან, როგორც სამყაროს შექმნისას ერთ დროს,

სინათლე ედგა მთლიან სიჩუმეს. პლანეტებს შორის ის ირხეოდა. მიწიდან ცამდე უშველებელი ხე წარმოიქმნა ერთი ღეროდან. ხე შემცნობელი ავის თუ კარგის. საბედისწერო. ძალზე საშიში. დროც ხან სულ ქრება. ხან ნელა გადის. მახსოვრობიდან მე მას ნავშლიდი.

რადგან ყველაზე დიდი ტყუილია. თუ რამ ტყუილები ქვეყნად არსებობს. ხორცი მტვერდება. შუქი სულს მიაქვს. თანავარსკვლავედნი, შუქთა სამსხვერპლო. სიმრავლე მათი დროში ვერ ეტევა. დრო ვერ განსაზღვრავს ვერც პოეზიას. ერთი წამის თუ წლების შემდეგაც მე ისევ აქ ვარ, გარს მომესია

შუქების მძივი და გამაშიშვლა. ჩემი სიშიშვლით მე შევიმოსე,  
როგორც კი მივხვდი ვინ ვარ მაშინვე, სისხლში ვიგრძენი თვითონ სიცოცხლე.“

## 5

მის წინ ბავშვი იდგა და სწორედ მან უთხრა: „შენ ისე მეტყველებ თითქოს ღმერთს ხედავ.  
მას ესაუბრები გულით ხარ სუფთა. ან ჯერ არ გინახავს ანდა ბევრჯერაც.“

„ჩემო პატარა,“ თქვა მეფე პოეტმა. „თუ გული წმინდა აქვს ვინმეს, შენა გაქვს.  
ღმერთიც შენა ხარ, სხივს სხივი მოეზა, მუხამ რკო მოისხა, ყურძენი ვენახმა.  
ასეა ყოველი ადამიანიც, ყველას თავისი ბუნება ახლავს.  
ღმერთიც ესაა მიზეზი ყოველთა, შენი გზა მიგიყვანს შენივე სახლთან.“

გზა შენი თავისკენ სწორედ ეგაა გზა ღმერთისაკენ ჩემო პატარა.  
ხედავ იმ ვარსკვლავს? მთელი ცა გადააქვს, უსასრულობას გარს შემოატარა.“

ბავშვმა და მეფემ ერთმანეთს უყურეს. მეფემ ბავშვის თავს ხელები დაადო:  
„მისმინე პატარა ღმერთი აქ სულდგმულობს, ის მერეც აქ იქნება როცა გავა დრო.“

მართლა მომინდა ყოველნამს გხედავდე.  
ასეა ვიცი სულ გხედავ ღმერთო.  
ტკბილო ჩემო ღმერთო.

წყლები ადიდდნენ ტერფიდან ნელამდე.  
გადასარჩენად შენ მინდა გენდო.  
ჩემით ხედავდე და ჩემშივე ენთო.

ღმერთო,

ჩემო,

ბავშვობისთვალება.  
როცა მინდორში ხოჭოებს მივსდევდით.  
სიცოცხლე ჩვენი ჯერ არ დამთავრდება  
თუ სხვებიც გვნახავენ თავიანთ ფიქრებში.  
მე მაშინ დაგინახე მართლა პირველად.  
ძალიან გავდი სიზმრად მონატრებას.  
მაშინ მე მინდორმა ამომიმღერა.

სიმღერა, ღმერთო, ირგვლივ მომრავლდება,  
ბალახზე შერჩენილი ცვარის თრთოლვისას.  
ყველა სულდგმულის ყველა საქციელით.  
ყველა შემხვედრშიც შენ თურმე ყოფილხარ.  
მტერს თუ მოყვარეს როცა ვაცილებდი.  
თუ ვინმე მიყვარდა, მისივე მჯეროდა.  
თუ ვინმე მწყევლიდა მე მათ ვპატიებდი.  
და სუნთქვას ვგრძნობდი სადღაიც ზემოდან  
მარტო ვრჩებოდი და დრო გადიოდა.  
უცებვე მივხვდი, ჩემთვის კეთდება,  
ქვეყნად ყველაფერი თუ რამ არსებობს.  
რა მარტივია მართლაც ყველაფერი.  
რა გზას ვადგავარ ეს გზაა საჩემო.  
ღმერთი,  
ჩვენ ასე გეძახით, დასაბამიდან.  
მანამდე რა გერქვა მე ესეც ვიცი  
და აი სუნთქვისას დრო ისევ გავიდა.  
მადლობა მე რადგან ჩამბერე ნიჭი.  
ასეც გიცანი ჩემშიც და ჩემს ირგვლივ,



როგორც იმ მინდორში ჩემი ბავშვობიდან.  
ის მონატრებაც ჩემს გვერდით იცდის,  
როცა სამოთხედან ქვეყნად ჩამოვიდა,  
სიტყვა საარსებო გულისხმით სავსე.  
ყველამ იმეტყველოს. ყველამვე იცოდეს.  
ჩვენი სიყვარული სამყაროს ავსებს.  
სიტყვა ხარ ჩემი, გზაცა და სიცოცხლაც.“

## 6

ერთად მოახლოვდა მასთან სამი ძმა. ძმათა სამება იერით ერთი,  
მგოსნის წინაშე ერთად წარმოჩინდა. ერთი წინ დადგება და ასე ეტყვის:  
„ყოველი დილა გადაილამებს. ჩვენი გზა გვინდა სამივემ გავიგოთ,  
სახსოვრად მოგვეცი ნიშანი რამე. სამი ძმანი ვართ, ღმერთის სამი დრო.“

მეფე პოეტმა მათ ასე უთხრა:

„ჩემი სიტყვები გქონდეთ სახსოვრად. გზას მიგანიშნებენ ისევ და ისევ.“

ერთი სისხლი გაქვთ, მაგრამ გახსოვდეთ, სამივეს თქვენ-თქვენი გულები გიძგერთ. მხოლოდ სიმართლე გაქვთ სულის სიშიშვლედ. სიყავრულია თქვენი სამოსიც. სამყაროს შეცვლით თავს დაიმშვიდებთ, როცა სიცოცხლის მიზანს ამოხსნით.

ლამემ დილისკენ დაიგვიანა. სიზმარი ცხადდება, შუქი აგავსებთ. მწვერვალზე დადგებით და იქიდანაც, გზას გააგრძელებთ ახალ აღმართზე. სხვები ხართ, მაგრამ თქვენ არ განსხვავდებით. თქვენ ყველაფერი მშვენივრად გესმით. თქვენ დაგყურებენ თანავარსკვლავედნი, სწორედ ეგაა თვალები ღმერთის.

თქვენ მათ აჰყურებთ თქვენი თვალებით და რასაც ხედავთ ის თქვენ თვითონ ხართ. დასაწყისი ხართ და არ მთავრდებით. სიმშვიდე გსტუმრობთ სიზმრად სხივოსანთ. თქვენ ხართ საჩუქარი ირგვლივ ყველასთვის. თქვენც თავის დროზე სიცოცხლე გაჩუქეს. თქვენი გაჩენისას ვარსკვლავნი ელავდნენ. დღეებიც გვანან ცხოვრების საჩუქრებს,

თუ კი ისე ხართ, როგორც სულ ადრე, მინდორში ბავშვობისას პეპლებს რომ მისდევდით, და როცა სიზმრებიც სიცხადეს გავდნენ, სიტყვებს პოულობდით, ოქროებს სიტყვებშიც, სიღრმეში დაფლულთ, გულშივე უთქმელთ, რადგან სამყაროს კანონებს ენდეთ, გზა გინათდებათ ყოველი სუნთქვით, თავს როცა ჩუქნი ყველა თქვენ შემხვედრთ.“

სამი დაც ასევე მასთან მოახლოვდნენ. ულამაზესები სამივე სამჯერ:  
 „შენ ჩვენ გვიყვები იგავ-არაკებზე, ჩვენი სატრფონიც მათ გმირებს გავდნენ,  
 მაგრამ ჩვენ გვინდა ბედი გავიგოთ. საგნების სია გვაქვს, საწყისიც, ბოლოც.  
 რა დაგვჭირდება სარკედ ან სამისნოდ. შნო ვის ეყოფა ჩვენ ხელი გვთხოვოს.“

მან ასე მიუგო:

„მეც შევადგინე საგნების სია. საგნები ჩემთვის მოვლენებია.  
 სიმბოლოებია, ისინი ქმნიან, გარემოებებს და აზრებს ცვლიან,  
 გარეარსსა და შინაარსს შორის, როგორც მთლიანად კაცთა მისსია  
 და როგორც ბავშვი მშობლისკენ მორბის, ვარსკვლავთმრიცხველნიც  
 ვარსკვლავებს ითვლიან.“

მეზოვეები ნაბიჯებს გვიან. ვაშლები იყრება გზის გასწვრივ ღობესთან  
 და მტვერს გავყურებ, საგნების სიას თუ რამ მინდოდა და მომენდომება.  
 ყოველი ნატვრა, ძვირფასი თვლებით მოჭედილია, საჩუქრად ვიმეტებ.  
 ჩვენ ხომ დღედაღამ სასწაულს ველოთ, მაგრამ ვერ ვუძლებთ საკუთარ იმედებს.

საკუთარ ადგილს ლხინის სუფრაზე ერთმანეთს ვუთმობთ თან სკამებს ვაცლით, ვინც შეიყვარეს იმასვე უყვარდეს, თვითონ სიცოცხლეა გზაცა და სახლიც. მე ასეთ არავისთან ყოფნა არ მინდა. ჩემი სიცოცხლე მათ ველარ დაიტევეს. აქედან წავალ და შენც თან წაგიყვან, ჩემო სიყვარულო, სამყაროს სამშვიინველს

მხოლოდ მედაშენ სუნთქვით ვატარებთ, როგორც კი თვალს მოგკრავ, ვხარობ და ვიცინი. მოვშორდეთ შეშლილთა ბინებს და სამარხებს. ვამბობდი „ჩვენ“ დღეს ვამბობ „ისინი.“ საგნების სიას ისევ გადავხედე. ისევ დავწყნარდი მართალი ვყოფილვარ. ვისაც სინათლე აქვს სულშიც და სახეზეც, მსხვერპლიც ის ხდება ამ წუთისოფლიდან.

ჰო ჩემო კარგო, ჩემო სიყვარულო, შუქი ჩვენს სულში სულ მინდა ინვოდეს, როცა არ უნდა ღმერთმა გვინახულოს, შევეცოცხლებით სიცოცხლეს.“

8

სოვდაგრებიდან ერთი გადმოდგა: „ჩვენ საქმის ხალხი ვართ. ვყიდით და ვყიდულობთ. ნუთუ სიმდიდრე არ არის სამოთხე? და სიღარიბე ტანჯვაა მზის გულო?“

„კაცს განათლება ამდიდრებს მხოლოდ,“ თქვა მეფე პოეტმა. „კარგად მომისმინეთ კიდევ რას გეტყვით,

გასცემს ყველაფერს და არაფერს ფლობს, ოკეანის გული და ზეცის გული.  
ხმელეთის გული და ცეცხლის გული. აზრებს შუქები მიაქვთ სამსხვერპლოდ.

ენას შემართავს სალაპარაკოდ, გარშემო უვლის პოეტის ვარსკვლავს,  
ორბიტა პლანეტის, გზად ბგერებს გამოსცემს, ყოველი ბრუნვით ღმერთის ხმას აჰგავს,

სიჩუმე ბგერების, მართლაც ხმოვანია. თუ რამ გვინატრია, მთელს კაცობრიობას,  
სწორედ სიჩუმემ სიტყვად მოგვაპნია და როგორც ბავშვი ლაპარაკს ცდილობდა,  
ისე ცდილობდა შუქიც აქ გამოსვლას, აქ გამოღწევას მიღმა წიაღიდან.  
გულთამისანმა, მეფემ და სალოსმა, გულთა საუნჯეს როგორც მიაკვლია

და საუკუნოდ მადლი იხილა, დიდება, ჯერ მართლა არსად ნახული,  
გაქრნენ სიტყვები ყველა წიგნიდან, სიჩუმე ღვთის გულშიც როცა გახურდა.

პოეტს კი სიცოცხლე გვირგვინად დაედგა, როცა კი გასცა თუ რამ ებადა,  
გასაღებები დატოვა კარებთან და დაელოდა სტუმრებს ზეცათგან.

სტუმრები მოვიდნენ ვარსკვლავებით, სიზმრები მოაპნიეს ოთხივე მხარეს და როცა ღვთის მაცნე გზად შემოივლის, სტუმრები სახლიდან მაშინვე წავლენ.

დარჩება სურნელი, აქყოფნის კვალი. დარჩება სევდა მათი მონატრების. ათასწლეულნიც ჰანგებით ვთვალეთ, გავიგეთ სიჩუმეც თურმე როგორ მღერის.

რა ეფიქრება იმას ვინც ხეს დარგავს. რას უნდა ელოდოს. რა უნდა იცოდეს. ცივილიზაცია ქმნის ყველა შესართავს ცისა და მიწის და არის სიცოცხლე.“

## 9

ცოლქმარნი იდგნენ. ერთმანეთს ეკვროდნენ. უსმენდნენ პოეტს. სიტყვების სინმინდეს. კვიპაროსები, მახლობელ ეზოდან, სევდის ხეებად აწვერილიყვნენ.

ქმარმა თქვა მერე:

„თუ კი სიყვარულს სევდაც მოჰყვება თუ სიახლოვე-ც ზოგჯერ ჰგავს შორეთს, სადღაა ერთხორცად, ერთსულად ცხოვრებაც? თუ კი სიკვდილიც ჩვენ დაგვაშორებს?“

მეფე პოეტმა მათ უპასუხა:

„კვიპაროსები სევდის ხეებია და დიდებული სიმშვიდე ახლავთ.  
რამე უთქმელი თუ დამრჩენია ხეები გეტყვიან ამნამს და ახლა.  
თუ კი მათ შორის ბილიკს გავყვებით, მათი სიმშვიდე თქვენში შემოვა.  
განონასწორდებით სევდის თანხლებით, ერთმანეთს ეტყვიოთ თურმე შენ რომ ვარ.

ერთად უყურებთ თანავარსკვლავედს, იქ თქვენთვის ნაცნობი ნათება გხვდებათ.  
ყოველთვის სხვებისგან გამოანსხვავებთ, ბგერის ფერებად, სინათლის ხმებად.  
კვიპაროსები. მათი სიჩუმე. დაისის ყვავილად სიმშვიდე განვა.  
თქვენ ის ყვავილი თქვენთვის იჩუქეთ, რადგან თქვენ ცხოვრობთ ახლა და ამნამს.

ერთმანეთს შეხვდით და შვილები გაგიჩნდათ. თქვენივე ვნებაში გარდაისახეთ.  
მთელს სამყაროს ჭვრეტთ თქვენივე ფანჯრიდან. თქვენივე ფიქრია თქვენივე სახეც.  
სიცოცხლის მიზეზებს თქვენ ყველგან ხედავთ. მისივე შედეგებს ერთად თავს უყრით.  
ვარსკვლავებს აწყურებთ სამყაროს სხვენთან. მათ მდუმარებას აჰქარგეთ ყურიც.

გარსშემოეაზრეთ ერთმანეთის სუნთქვას. მარგალიტები ტუჩებში იშვინენ.  
კოცნა გაცხრებათ სევდასაც კურნავს. ვარსკვლავიც გმნათობთ შუქებით მწიფე.

ნაპირზე სხვა და სხვა მდინარეების, სხვა და სხვა ზღვების, სხვა და სხვა სიზმრების, ერთმანეთს პოულობთ იქაც ერთდებით. სადაც ამთავრებდით სწორედ იქ იწყებდით.

განცხრომას, ჟინისვე გამოცეცხლებას. განმარტოებას ამქვეყნად ყველასგან. თქვენი სახელის ერთი ხსენებაც გაჯადოებდათ და თუ რამე გებადათ, დაგქონდათ ყველგან სადაც კი წახვედით, მე რადგან შენ ვარ მე ხარ ისევ შენ. თქვენ ხომ აღარ გაქვთ „მე“ როგორც ასეთი. თქვენი სხეულიდან გადაიხვეწეთ.

თუ კი რამ იხარებს, თქვენთვის იხარებს. კითხვებზე პასუხი ყველა გსურთ იცოდეთ. სინათლე მიყვება საკუთარ სინათლეს, გახსოვდეთ არ კვდებით, აგრძელებთ სიცოცხლეს. თუ კი რამ არსებობს, თქვენთვის არსებობს. წინასწარმეტყველს და მეფე მგოსანს და ანგელოზებს ბევრი გვაქვს საერთო. გახსოვდეს სული ხარ. სხეული გმოსავს.“

10

იდგნენ მწიგნობარნიც და ასე ჰკითხეს: „მიდიხარ ახალი სამყაროებისკენ. გზას შენს ბედს ანდობ და არა წიგნებს და იქაც კი გულების დაპყრობას აპირებ? ჩვენ კიდევ სხვა კითხვა გვსურს ახლა დაგისვათ, ვანყობდეთ ჩვენ თითქოს ნივთებს კარადიდან. მხოლოდ სიმართლეა ბედიც და სამიზნეც? ნუთუ ყველაფერი მართლაც ნანახი გაქვს?“

24



მეფე პოეტმა ბრძანა:

„სიმართლე ყოველთვის უმსუბუქესია. ყოველი ელტვის თავის სასურველს. თუ მალმერთებენ ტყვიასაც მესვრიან. წესი ასეთია და უნდა აღსრულდეს, მაგრამ არსებობს ერთი რამ ქვეყნად, ჩემთვის წესია შნო გენიოსის და სიმამაცე, დაე მას ერქვას სული უდიდესი, ვინც სულ იცოცხლებს.

რასაც განვიცდი. რასაც ვეხები. ვკარგავ თუ ვპოულობ, გზაზე თუ კართან. ქარი ჩაიცვამს კაბად ვერხვების და ჩემს სანუთროს ფოთლებით ართავს. ართავს და მე კი არ ვთმობ სიცოცხლეს. რასაც ვივინყებ და რაც სულ მახსოვს. გინდ სტრიქონების ცეცხლზე იწვოდეს, ყოველი სიტყვა. ხმა ვინც დაათბო.

ღამე იშიშვლებს თავს განთიადთან და ახლაც მათოვს შუქთა ლიცლიცი. მსოფლიო შიში ადამიანთა. ოჰ, რამდენ რამეს ვნახავდი, იცი? ვნახავდი სამყაროს შექმნის დღეებში. შუამდინარეთის წალკოტებს ღვთისად. ვნახავდი ეგვიპტეს, რა რომ ხელებს შლის. ვნახავდი მოსეს ზღვის გაყოფისას.

ცხენის ფლოქეებში ჯიში არაბულით, ცამ ვარსკვლავები რიცხვებად შეკრა და ქურუმებთან სულგანაბული ვნახავდი ქართული ანბანის შექმნას.

ვნახავდი ერებს ნასიზმრალთ იქვე. ჰიმალაების ზენა ნირვანას.  
ბუდას ვნახავდი სხივების ჩრდილქვეშ, სხივმა ფიქრებთან ჩამოივანა.

ვნახავდი ქვეყნებს. ვნახავდი ანტიკას. ულისეს ვნახავდი. მოგზაურობას  
და მეტყველების ზნე გრამატიკაც საკაცობრიო ლოცვას უფრო ჰგავს.  
ვნახავდი რომის ქუჩებში რბოლას და ზეთისხილის ბაღებში წყნარ მზეს  
და ალბათ სუნთქვაც შემეკვრებოდა თუ კი ვნახავდი მაცხოვარს წყალზე.

თუ გავყვებოდი და ღია ცის ქვეშ ახლაც ამ მიწას ყურს თუ მივადებ  
ხმები კვლავ ისმის და ღრიალით თქემს ცა ისეც მორთავს ელვის გმინვამდე.  
რუსთველს და დავითს, მიქელანჯელოს, საიდუმლოებს ხსნა არ ეღირსათ.  
დიდი სიჩუმის რომ დავიჯერო ლუდვიგს ვნახავდი მთვარის წერისას.

ედგარს ვნახავდი, ანაბელ ლისთვის რა შთაგონებით რითმავდა წყევლას.  
ან მარგალიტებს რა გადაითვლის ან სათითაოდ, ცალ-ცალკე, ყველას  
რა ხმა დაიტევს მშვიდობებს, ომებს, მთავარსარდალებს და მხედართმთავრებს.  
ღმერთებს უღმრთონი ყოველთვის გამობენ. უკვდავს მოკვდავი ვერაფერს ავნებს.

ვნახავდი გარეთ, კოსმოსის გარეთ, უსასრულობა თუ არის მართლაც.  
ავაშტერებდი სახეს და თვალებს. სულის ცხონებად და სულის დაღლად.

რადგან განვიცდი. რადგან ვეხები. ვკარგავ თუ ვპოულობ, გზაზე თუ კართან.  
ქარიც გაიხდის კაბას ვერხვების. ფოთლებს მისსავე ფოთლებით ართავს.

ვხედავ, სიზმარი სიცხადეს განიშნებს. ვხედავ, წრფე არის სწორედ სწორი წრე.  
გზა არასდროს ჩანს ნაბიჯის გარეშე. თავს თუ არ უსმენ სხვა ვინ მოგისმენს.

სიცოცხლე პიროვნებაა და ის შენ ხარ, შენივე სხეულში.  
სიყვარული პიროვნებაა და ის შენ ხარ, შენივე სხეულში.  
სიმშვიდეს ხმაური ხელს ველარ შეუშლის, როცა ნატვრაც კი ახდენას იწყებს.  
ამ ქვეყნად ყოფნის ერთად ერთ საუნჯედ, თავს როცა გაიცნობ. შედეგს და მიზეზს.“

11

„მე მომღერალი ვარ,“ თქვა ხალხში ერთმა. „მე თავი მინდა მსხვერპლად რომ გავიღო.  
ზოგჯერ მუსიკა მართლაც გულს იკლავს და სიჩუმეა ყველგან და ამიტომ,  
მინდა მივაღწიო მე დიდ ჰარმონიას, ისეთს რომელიც ჯერ არ სმენიათ,  
მაგრამ ეჭვი მკლავს და ასე მგონია, ჩემნაირებიც ქვეყნად ბევრია.“

27

მეფე პოეტმა ასე თქვა:

„ყოველთვის ხვდები რაღაც საზღაპრეთს, როცა კვდები და ცოცხლდები ისევ.  
თითქოს შუქებმა ჩრდილნი დამარხეს, ერთი ჩრდილი კი სინათლით ივსებს,  
საკუთარ იერს და ისევ ქრება და ისევ გესმის ხმა შეყვარების,  
ოქროდ ინნება ხმა ძვირფას ქვებთან, შენ სიჩუმე ხარ, ხმას ენატრები.

დაამთავრებ და დაიწყებ. სიცოცხლეს, მარტო სიცოცხლეს.  
ისევ დაისის ნარინჯებს, უყურო გინდა, იცოდე,  
ინვოდე, მხოლოდ ინვოდე, სხვა არაფერი ამაზე მეტი.  
მთელს შენს სიკვდილს და მთელს შენს სიცოცხლეს,  
მუსიკად იწერ, ახლავე გეტყვი.  
ქვეყნად შენნაირი მხოლოდ შენა ხარ.  
შენ მუსიკა ხარ, სიჩუმე გნატრობს,  
შენ ჰანგებს ითვლი ტრფობის ვენახთან.  
აღარც შენ უკვე აღარ ხარ მარტოდ.

ვინც მართალია ისევე სამსხვერპლო. ვინც მხოლოდ გასცემს. არ ფლობს და უყვარს.  
როცა ვიყვარებთ ჩვენ ღმერთში ვარსებობთ. ერთი ჰაერით ჩვენ ჩვენსას ვსუნთქავთ.

როცა გვიხარია სევდაც გვერდით დგას. თავის რიგს ელის ყოველი აზრიც.  
მიღმა სამყაროსკენ მიმავალი გზაც, ჩვენი ცხოვრების გვერდითვე გადის.

აქვეა სამოთხეც. მას ყველგან შევიგრძნობთ. აქვეა ჯოჯოხეთის სიცარიელეც.  
დრო თუ არსებობს ისაა შენი დრო. ჩვენ საუკუნეს ვინამიერებთ.  
როცა ერთმანეთის სიჩუმე გვესმის, მაშინ ყველაფერს, ყველაფერს აზრი აქვს.  
სიჩუმე ხდება მუსიკაც, სექსიც. ვარსკვლავიც ცაზე დილაადრიან  
ჩუმდება. ეფლობა მდუმარებაში. შუქი შემოყავს. გულთა ფარდებს შლის.

და პლანეტებიც თავთავიანთ ორბიტებზე მას გარს უვლიან.  
ვიცით მიზეზიც მათი მოძრაობის, სიყვარულია.“

12

„მე მეომარი ვარ,“ გადმოდგა კაცი. „ომი მეომრისთვის გზის დასასრულია?  
სახლს დაცვა უნდა. ლაყბობა დაგვლლის. დიდებაც მხოლოდ მამაც გულს მიაქვს?“

მეფე პოეტმა მას ასე მიმართა:

29

„ომი ომია, ის სულ არსებობს. მას ვერსად ვერავინ ვერასდროს წაუვა.  
ჩვენ თავი დავდეთ მშვიდობის სამსხვერპლოდ. სიმშვიდე ხან და ხან  
მარცხდება ხმაურთან.

ყველანი ომში ვართ და ჩვენ წინაა, თავისუფლება, შორი და წმინდა.  
თუ კი მართლაც ღირს მისთვის სიკვდილი ადრე რისთვისაც სიცოცხლე ღირდა,  
გეტყვი მიყვარხარ, მე შენ მჭირდები, რა განასხვავებს ტყუილს და სიმართლეს,  
თუ არა ნება ჩვენი სიტყვების, სიკეთე გაუძლებს და გაიმარჯვებს.

წვეთნი წამებია. ცანი მყვარებია, ჩემი ბავშვობიდან მათი სიახ**LOVE**  
ახლა ამოვხსენი ღმერთის თვალებია, ჩემი მთელი სული მე ვინც ვარ ვგონებ,  
ჩემი ხელები კი ღმერთისას ნიშნავს. ჩემი სიტყვები კი ღმერთის სიტყვებია.  
ყოველი წამისას ვლებულობ ნიშანს, სუნთქვანი გულისხმას როცა მიყვებიან.

სუნთქვა დედამიწის როცა ჩემსას ჰყვება. სუნთქვა აპნეული ღია სიზმრებიდან,  
როცა გარდაიქმნენ უძვირფასეს თვლებად, როცა ის ვარსკვლავიც შუქებს იწველიდა,  
ირმის ნახტომზე ვინც რძედ მათ მიმოაღვრის, ბავშვიც იბადება თავის ვარსკვლავიდან,  
სწორედ დაბადება არის ჩვენი სახლი, მოწყდა ერთი მნათი თავის გზად წავიდა.

გზას კი დასასრული მხოლოდ მაშინ უჩანს, როცა დასაწყისთან მგზავრი დაბრუნდება, როცა თავის მიჯნურს თავისსავე ტუჩებს, ჩუმად დაასიტყვებს მისდა საკუთრებად, როცა გელიმება რადგან მიაღწიე, სხვების სიხარული როცა გიხარია, წყალნი ირეკლავენ მინას ცას და მთიებს, ფსკერზე ოქროებით სხივებმდინარიანს.

ყველა ერთმანეთით ერთად ავირეკლავთ, ავაერთიანებთ ერთ დიდ მთლიანობას. ჩვენი სამშვიდობოს ნატვრა ნაპირებთან ყველას კარს გავუღებთ ვინც კი გვიან მოვა. ვისაც ძალა შესწევს მიზანს მიაღწიოს. იაროს, ირბინოს, იფრინოს, მიცოცდეს. ღმერთი აგვირგვინებს მისთვის მზიან ღვინოს. ვისთვის ღმერთია სიცოცხლეც.“

13

„მე მოგზაური ვარ,“ თქვა ისევ ერთმა. „მაგრამ ყოველ ჯერზე სიმარტოვეს ვგრძნობ. არ მინდა არასდროს უკვალოდ გავქრე, მინდა ვანუგეშო ყველა ჩემს თანამდგომს. მე რასაც ვთესავ იმას მსურს ვიმკიდე. მსურს თავისუფლება. ვაგროვე ქვებიც. ყროლისგან ვანსხვავებთ ყოველგვარ სინმინდეს, ამდენს ვწავლობთ და უკვალოდ ვქრებით?“

31

მეფე პოეტმა მიუგო:

„ზოგჯერ გაიფიქრებ სულ მარტო დარჩი. აღარც აღარავინ აღარაფერს გთხოვს. აღარც გეუბნება და შენი ნასვლით, ფიქრობ თავს აღწევ დავინყების დროს. მაშინ გგონია შეველა არსად ჩანს. ილუზიებით იცვლება სიმართლეც. თან ელოდები სამყაროს განაჩენს, თან თავს საკუთარს, ასე იმართლებ:

მგონი მომეჩვენა ხილვას რომ ვადროვე, თითქოს სილურჯე ფრთას დაკრავს ყორნის, დავრჩით მე და შენ, ჩემო სიმარტოვე, დავრჩით მე და შენ, ნაღებები ორნი. დავრჩით მე და შენ, სხვა ვინ შეგვიგუებს, ყოველთვის გვინდოდა ჩვენ ასე დარჩენა, როგორც მიჯნურები ერთმანეთის გულებს ეტრფიან და უნდათ ერთად გადარჩენა.

მე და შენ ერთნი ვართ, ერთი მზე დაგვნათის, ერთი მთვარე გვიცავს და ერთი ვარსკვლავი. ქვეყნად თუ აღმართებს ბედი აქვთ დაღმართის, მეც შენი სამსხვერპლო ღმერთის ვარ საკლავი.

მაგრამ დრო მოვა და ჩემთან მოგბეზრდება, იტყვი დამლალაო მისმა მოთმინებამ, ან ვის ეკადრება შენთან დაბეზლება, თავისუფალია კაცთა მოდგმის ნება. თუ მართლა ნახვალ და ბნელ ხილვებს მომიჩენ, ყორნის ლურჯმა ფრთებმა ცოტაც თუ მადროვეს, ჯერ უშენობის ქრილობას მოვირჩენ, შემდეგ შევიყვარებ ახალ სიმარტოვეს.



მაგრამ უეცრად სული გინათდება. გენუგეშება ყოველი წამი.  
ღვთის მაცნეს ხედავ სხივებთვალებას, შუქებს რომელთაც ვარსკვლავნი სვამენ.  
შენი გონება საწნახელია. შენი ფიქრები ყურძნის მტევნები.  
მათ შერთვის მოაქვთ, ისევ მათ მიაქვთ, სიცოცხლე შენი, ისევ შევხვდებით.

თუ ერთად გველვიძა ერთადაც ვთვლემდით. ცხადიც და სიზმარიც ერთმანეთს გვანან.  
თვლემდა ღეროზე მიბმული წვეთიც. წვეთში კი სამყაროს გამჩენი ძალა.  
შენში უსასრულო ცოდნა ეტევა. შეყვარებულებს სამყარო მფარველობს.  
სიცოცხლისა და სიკვდილის შემდეგაც, სულის სიმშვიდეს, გულთა სამეფოს,

ერთად დააუფლებს გონის შინაარსი. მოისხამს ბგერებს. მშვიდს და საკვირველს.  
ის სხეულს შენსას სუნთქვით გაავსებს. წამოგაცოცხლებს და გაგაკვირვებს.  
ჩვენში დაივანებს ჩვენი შინაარსი. სიცხადე სიზმარს როცა უფრო ჰგავს,  
ვიდრე ჩვენ ყოფას და სულ ასეა, ასე აგრძელებ მოგზაურობას.

სად ერთდებიან ნისლები, ქვები. სად განიყოფა ხმა და სიჩუმე.  
კვდები და ცოცხლდები, ჩნდები და ქრები და ქრობა სულ ბოლოს,  
გათავისუფლებს.“

„ჩვენ ვთვლით ჩვენა ვართ ფილოსოფოსები,“ დაინყეს მის ირგვლივ სხვებმა და სხვებმა.

„ჩვენ გვინდა გითხრათ ასეთი რამე,

არცოდნა როგორც არ ცოდვა, რითი ჰგავს ბნელი, სინათლეს?

წმინდა გონების კრიტიკად, ბრძენს მდუმარება მიართვეს.

მდუმარებას კი ხმა მოჰყვა. ხმა პასუხების თანმდევი.

ნეტავ რა სიტყვებს ხმარობდა კითხვა-პასუხის ტანდემით

გაორებული სამყაროსმჭვრეტი? ან ვინ განსაზღვრა სამყაროს ბედიც?

განმარტოების თავბრუდ და რეტიტ, ვისთვის ვიბრძოდით და სულელებ ვფენდით?

როგორც ნახატებს, სიზმარს და მუსიკას და როგორც ლექსებს ვახარებთ ისევ,

თვითონ სამყაროც ზოგჯერ გულს იკლავს, გულის ნაფეთქი მიჰყვა გულს მყისვე,

მყისვე აიწვა ღვინოც და სისხლიც და აიფერფლა ხორცი და ძვალი,

ჩვენი სუნთქვანი სამოთხეს მისდის და დედამინაც, ბრტყელი და მრგვალი

ტივტივებს, დროში დროსვე შლის და უზუსტესი საათნიც ჩვენ ვართ,

ორი რამ ვიცით - სინდისი ჩვენში, ხოლო ჩვენს მაღლა ვარსკვლავნი ყველგან.“

მეფე პოეტმა ასე თქვა მათთვის:

“დღეს რამის არცოდნა არ არის არცოდვა, დღეს რამის არცოდნა არჩევანია.  
აქყოფნის მიზეზიც თქვენ ყველას გახსოვდათ, აქამდე ვინც იყვნენ ისევე აქ არიან.  
ყოველი კაცი თავს თვითონ ირჩევს. ფილოსოფიაც ამას გაჰყვირის.  
ნავში თუ ზიხარ და წყალში ჰყრი ნიჩბებს, რაში გადარდებს სადაა ნაპირი?

თავისუფლდები ყველაფრისაგან. პოეტის სიტყვა ხალხთა გულებს შლის.  
წიგნების გამირმა ავტორი ინამა, გრძნობა გაქვს ახლა უმსუბუქესი.  
ცივილიზაცია ხან წრეზე დადის. ხანაც განსაცდელს იმატებს.  
გინდათ იცოდეთ პირველი კაცის, მითი ტყუილი და სიმართლე?

მაშინ მიყურეთ, მე ახლა ჩემში, ადამს ამოვთქვამ, ამბავს ის გეტყვით.  
ხიბლიდან გამოსვლა ჭკუიდან შეგშლით. ყველაფერს გაიგებთ წინსწრებით.  
მდუმარებისას სულში გაქვს სითბო. როცა ხმას იღებ იმედით.  
გთხოვ მეგობარო, მე სცენას გითმობ. ადამს უსმინეთ, ის გეტყვით:

...ევა ჩემშია. მე ადამი ვარ. მე დამაძინეს ღმერთის მახლობლად  
და დამასიზმრეს ევა და მინდა, ისევე ვიგემო, ტანთ რომ მათბობდა,

ისეთი სიცოცხლე, ისეთი, ისეთი, როგორიც მექონდა, ადრე, სულ ადრე,  
როცა კი გავჩნდი, მიზეზთა მიზეზით და როცა ლილეს ცოლობაც ვკადრე,

და რომ დამთანხმდა და რომ გამომყვა და რომ მიყვარდა და აღარ ვიცი  
და აღარ მახსოვს დღეს ვის გამო ვარ მთელს სამყაროში სიკვდილის ფიცით,  
ისევ ცოცხალი, ისევ მჯდომარე, ბალის ნაპირას, მდინარის ახლოს  
და მომლოდინე, სიზმრით მთოვარეს, როდის მექნება სულსაც რომ ათბობს,

ისეთი ხვედრი, რომ დავივიწყო, ლილე თუ ევა, კრთომა თუ შიში,  
ქარიც ნაბიჯებს ჩრდილივით მიწყობს, მე ადამი ვარ, ჩემსას არ ვიშლი,  
ჩვევას თუ სურვილს, მინდა და მორჩა, ასეთი გავჩნდი, ნებით ან განგებ,  
სადაც მე ვცხოვრობ წმინდა ცა მოჩანს და ყოველდღივით ღრუბლებით ვადებ,

მთელს სამყაროებს, უთვალავს, ხან ერთს, ევა ჩემშია, ლილე კი წავიდა,  
უკუნეთ მხარეს, მეორე მხარეს, ჩემზე ნაწყენი, ან იმ წამიდან,  
როცა მაჩუქეს მე თავი მისი და აღარ მახსოვს სიზმრად თუ ცხადად,  
მაგრამ მიყვარდა მთენთავი ნისლით ბგერები, ფერები, შვიდი ან ცხრა და

ევას კი მოაქვს რაღაცა ხილი, ხილია მართლა? თუ არის კოცნა?

და მე ვიგე მე და მე გავიგე და არ მჭირდება ჯდომა და მოცდა  
და უკვდავებაც აღარ მჭირდება, მე ვამჯობინე საგნების ცნობა,  
საგნების შინაარსს, ამბების შინაარსს, სამყაროს შინაარსს ვიგებ და მორჩა,

დავტოვე სახლი, სიზმარი დავტოვე, მაგრამ გავიგე თურმე რა ხდება,  
ან როგორ ხდება, ახლა მართო მე მართო მე დავრჩი, ძე გავხდი, ევა  
ცხოვრებას ნიშნავს, ლილე კი არ ჩანს და აღარ მოჩანს აქედან ბალიც,  
სამაგიეროდ სამოთხის ნარჩენს თან დავატარებ, მიწასაც დავლლი,

ჩემი ნაბიჯით, ქარიც ხომ ფეხს მინყობს, ჩრდილებთან ერთად,  
ჩემს ცოლთან ერთად,  
ყოველი დღე უნდა თავიდან დავიწყო, წილნაყარი ვარ მიწასთან, ღმერთთან,  
მახსოვს არ მახსოვს, ლილითი ევამდე, პირველი ცოლი, ლილე ან ლილით,  
გუშინდელ ვარსკვლავზე მივითვლი დღევანდელს, უამრავ ვარსკვლავებს  
ღამით ან დილით,

შვილებად მივიჩნევ, აქვე დავსახლდით, თითქოს მარტონი, ამხელა მიწაზე,  
თითქოს ვარ ათასიც, მილიონიც ვარ, რწმენა ჯერ დავკარგე, მერე კვლავ ვინამე  
და დავაკვირდი და შევიცანი, კაციც და ქალიც, ფრინველიც, ცხოველიც,

ყოველი არსით, ვეტკბილე, ვემნარე, სახელი ვარქვი და მაინც რომელი  
რომელი ერთი, რომელი ერთი, გამიგებს დღეიდან, რატომ, ჰო რატომ,  
რატომ ვარჩიე მტვერი, ცას ერთვის, მარტომ ამქვეყნად, მარტომ? ჰო მარტომ,  
მოვისიცოცხლე იმედი, ნატვრა, ჰაერზე ვიარე, წყალზე დავწევი,  
მერე მომინდა კლდეების დაძვრა და ცეცხლზე დგომა, სიტყვებს დავწერ, კი,

ევა ჩემშია. მე ადამი ვარ. მე დამაძინეს ღმერთის მახლობლად და დამასიზმრეს  
ევა და მინდა, ისევ ვიგემო, ტანთ რომ მათბობდა, ისეთი სიცოცხლე,  
ისეთი, ისეთი, როგორიც მქონდა ადრე, სულ ადრე,  
როცა კი გავჩნდი, მიზეზთა მიზეზით  
და უკვდავებას უარი ვკადრე...

მადლობა ასეთი სიტყვებისათვის, ჩემში მეტყველებდი. გახვედი ჩემგან.  
მთელი იმ ბაღნარის ნელსურნელება, არსობა შენი სხეულში მედგა.  
ჩვენ შორის ახლა ფრთოსნებიც დგანან. ჩვენ არ ვეტყვით არსად და ჩემგან  
ისევ გამოდის სიმშვიდის ძალა, სადაც ასევე ფრთოსნები სხედან.“

მის აღსარებას ვინც კი ისმენდა, ყველა თავს გრძნობდა სამყაროს გულისხმად. ძარღვები უთრთოდათ, გამმა მზისფერთა. სიჩუმემ თავის ძმად სიტყვა იგულისხმა. ჩრდილები დაიძვრნენ შენობებიდან. რიჟრაჟი შემონვა და დაფიონთან მეფე პოეტი ჩამოჩნდა ხალხისკენ, ის სხივებსშორის შემოდიოდა.

ერთმა ბიჭმა ჰკითხა: „როგორ განვასხვავოთ, ახლა ვინ ვინაა? კარგი თუ ცუდი? ყროლს საკმეველი ესურნელება? ზოგის ტვინია სანაგვე ყუთი, ზოგის ფიქრიც კი ნელსრუნელება.“

პოეტი საფეხურზე შედგა და ასე, ყველას გახედა, ხალხს და იმ ბიჭსაც, სახე რომლისაც იმედით სავსე, მას აჰყურებდა. თავის სიტყვიდან, მშვიდად მიუგო: „მე ჩემი საუნჯე, ადამიანის გულისკენ მივმართე, თუ კი ზღაპარი კაცს დაამუნჯებს, მაშინ რას იზამს სიმართლე?“

ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. და დროც სიჩუმეა ბგერებით ნაქარგი. განონასწორდები ადრე თუ გვიან. ყველაფერს იპოვნი რამე თუ დაკარგე. როგორი ბუნებაც შენს სულს ენება, ისეთი გექნება სუნთქვაც, ცხოვრებაც.

ზოგი ააფრქვევს ნელსურნელებას, მზის ქვეშ როცაა, ზოგიც ყროლდება.

ყოველი წყენა დღეს დამავინწყდა. არ ვათანაბრებ თავს არაფერთან.  
არ ვაიგივებ თავს არავისთან. ვარსკვლავი გუშინ, როგორც ანათებდა  
დღესაც ისეა. მეც ისევ მე ვარ. დღესაც ვარ არავინ და არაფერი.  
ის ვარსკვლავებიც სამყაროს სხვენთან,

შუქს ფრთოსნებივით შორით აფრენენ. მთლიანად სავსე ვარ  
სიცარიელით. დღეს ვაკვირდები თავსაც და ვხედავ,  
ჩემს ათასწლეულს ვინამიერებ, ცუდის და კარგის შეცნობის ხესთან,

თითქოს დავდექი და ისევ ისე, ზრახვები ძველი ერთად მივუსიე,  
პოვნით თუ ვპოულობ, მე მხოლოდ სივრცეს, კარგვით თუ ვკარგავ  
მხოლოდ ილუზიებს.“

16

გაისმა ხალხიდან ხმა ერთი მოხუცის: „გვითხარი სიკვდილი ვის აუკვდავებს?  
თუ ყოველ საქციელს თავისი დრო უცდის და თავის ჟამი აქვს ყალბსა და საკვირველს?“

40



რა არის ამქვეყნად აზრი აქყოფნის? ან როგორ იშლება სიჩუმეც ფიქრებად?  
თვით მთელი სიცოცხლე კაცს ზოგჯერ არ ყოფნის, ან რა დარჩება და, რა შეიცვლება?“

ის მათ უყურებდა და ელიმებოდა. უყვარდა ისინი. ისინიც მით უფრო,  
პლანეტას გრძნობდნენ ტერფების ქვემოდან, მოხუცსაც ღიმილით და სხვებსაც მიუგო:

„ვისმენტ და ვამბობთ, ვთესავთ და ვიმკით, ჩრდილებს სინათლენი სადღაც გადააქვთ,  
სიცოცხლის ბოლოდ მივიჩნევთ სიკვდილს, თუმცა კი ვიცით ის ბოლო არაა.  
ჩვენივე სუნთქვის სიჩუმე გვმოსავს, მოვიდა წამი და ისევ წავიდა,  
სიკვდილის მერე შევხვდებით როცა, ისევ დავიწყებთ სიცოცხლეს თავიდან.

თავს ერთმანეთში ისევ ამოვიცნობთ, სამყაროს კანონს რადგან ვიცავდით  
და ყოველ ჯერზე ყოველ ამბორისას, მადლობას ვიტყვით სიცოცხლისათვის.  
მოდით სიყვარული გავაუკვდავოთ, ადამიანთა და ცხადია ღვთისა.  
დაე თქვენ გულებში და სამუდამოდ, მთელი სამყაროს სიკეთე იშვას.

სიზმართა მტვერნი ვართ, თუ არ ვართ გავხდებით,  
აღბათ ესეცაა აქყოფნის აზრი, ისე შევიცვლებით  
როგორც ცა სამხრეთით, ყვავილებს, როგორც  
სურნელი ასდით.

ბევრი ნაპირია სხვა და სხვა მხარეს. მათ შორის ცხოვრება მდინარეს გადააქვს.  
წამსვლელნი მოვლენ. მომსვლელნი წავლენ. თუ იცი მშვიდად ხარ. სიმშვიდე ძალაა.

გული სად მიგიწევს ვისი რა საქმეა. აქ გინდა დარჩენა ან სადმე სხვაგან.  
წამებიც თუ უკვე აღარსად მიქრიან. თუ შენი ნატვრებიც შენს ირგვლივ დგანან.  
თუ სიმშვიდე გაქვს და იცი მიაღწევ. თავისუფლებაც თუ ძალას განიჭებს.  
თუ აღარ ეძებ აღარც სიმართლეს. სიკვდილს აღიქვამ წიგნში სანიშნედ.

თუ მტრებიც გინდა შენგან გაყარო. დაიღალე და გზას მაინც აგრძელებ.  
გზად დაატარებ მთლიან სამყაროს, ან იმედების ნაგლეჯ-ნამცეცებს.  
არც გინდა იცოდე შენზე რას ამბობენ. თუ კი მთავარია შენ თვითონ რას ფიქრობ.  
და აღარც ფიქრობ, ეგაა სამოთხეც. თავის მინდობა და არა სამისნო.“

17

ქალი აბრეშუმში ფიქრებათრთოლვილი, იქვე დამდგარიყო და ჩურჩულებდა:  
„ისევ ისეთი ხარ როგორიც იყავი, სულ შენი ხმა მესმის მზის გულის უბედან.  
სიყვარულია ყველა შენს სიტყვასთან. თანაგრძნობაა ხმა შეთანხმების.  
მინდა ვიცოდე თუ ისევ გიყვარვარ და კიდევ უფრო, თუ გეყვარები.“

42

„თუ გეყვარები?“ თქვა მან ხმადაბლა. ქალი კი შეკრთა, „მიყვარხარ. მიყვარხარ.“ ჩვენი მომავლის ალბათ წინსწრებით აქყოფნის შინაარსს, გნებავს სიტყვათა, ჩვენ მაშინ ვიგებთ, როცა ჩუმად ვართ, როცა ერთმანეთს სიჩუმით ვამკობთ, როცა კი ვაფნთ ჩვენივე სუნთქვასთან, სიცოცხლეს ჩვენსას, ცოტას და სამყოფს.“

თქვა მეფე პოეტმა და წამებს მოება ყოველი მისი ამონასუნთქი. ქალთან მივიდა თვალეში შეხედა, მანათობელი ვარსკვალვის ზურგიც, ისევე ანათებს როგორც სახება და ქალს ის ახლა ამ სიტყვებს ჩუქნის:

„როცა კი ვიაზრებთ საგნების შინაარსს, როცა ერთმანეთში ვქრებით და ვჩნდებით, როცა მეტყველება სიმღერას მიაგავს, ბგერები, როგორც ძვირფასი თვლები, მიმოანათებენ ჩვენს ყურთასმენას, ვუსმენთ ერთმანეთს, მიღმა ვიყურებით, სადაც არ არსებობს შიში და წყენა, სადაც აღარაა ცა ც თავის ღრუბლებით,

სადაც არც მინაა და არც სიზმარი და არც საიდუმლო, მხოლოდ ნეტარება, შეყვარებისას რომელსაც მივნატრით, მისივე წიაღში ყოფნა გვენატრება.

მაგრამ მე ცა ვარ. ზეცაა ჩემში. მე ცით ვიმოსები.  
სხეული გავშალე, ცა ამოვისუნთქე. თანავარსკვლავედთა

გზით და სხივოსნებით, ტუჩებს შერჩენილი ამბორის  
სიცოცხლედ. წყლისპირას დაჯდები და ისე დაიცდი,  
გაიგებ საიდუმლოს შენივე ცხოვრების.  
თუ ახლა გახსოვარ მადლობა ამისთვის.  
საქმე კი ისაა თუ გემახსოვრები.

სიტყვები სიჩუმეს მიმანიშნებენ. ქრება რიჟრაჟი და შებინდებაც.  
ქრება სიზმარიც. მე ვარ ისევ მე, ყოველთვის შენს გვერდით როცა მელვძება.  
მე სურნელებას და იმ მტვერს ვეძებ ჩემზე რომ გრჩება ყვავილტუჩების,  
იქ როგორი ხარ მაინტერესებს, როცა მივდივარ და მარტო რჩები.“

18

კაცმა აღმართა ხელი და დინჯად, სიტყვა წარმოთქვა ხეებსაც გახედა:  
„გისმენ და მეტის გაგება მინდა. ჩრდილებიც ქრებიან შენივე სახედან  
და ხეებიც კი შენ ახლა გისმენენ. გვითხარი გზების და სიცოცხლის შესახებ.  
გზის ორი მხარეა შუქი და სიბნელე? ვინც ზეცას შეიგრძნობს ის ხელსაც შეახებს?“

44

„მიხვდებით ყველაფერს,“ თქვა მეფე პოეტმა. „გზა თქვენ თვითონ ხართ. მგზავრებიც მასზე. ისმენთ და არ იცით საიდან მოგესმათ, სიტყვები, რომლებიც გულისხმას გავდნენ. გჯერა თუ არ გჯერა კაცის და ღმერთის, მნიშვნელობა აქვს გულს ვისთან შეახებ. თუ გსურს მოსმენა ახლავე გეტყვი, სიცოცხლისა და სინათლის შესახებ.“

სინათლე შენშია, შენს ფიქრებს ავსებს. შიში გიქრება. დგები და მიდიხარ. თვითონ ხარ ღმერთი ყველა შენს გზაზე. სადაც რა მთავრდება იწყება იქიდან. გადაითვალე ვარსკვლავი მეასე. ტყეებმა იციან მთვარეს რა სევდა აქვს. დრო გადის, გგონია სანადელს ვერ აღწევ. თუ გზას აგრძელებ მთავარი ესაა.“

19

ქალწული გამოჩნდა. მოვიდა. დადგა. შავ ღვინოდ ათრობს სუნთქვა მის ამბორთან. მძიმედ შეარხია თეძო და კალთა. ტუჩებზე ეწვოდა სიტყვები, ამბობდა: „ჩემი ერთი კოცნის მსურს იყოს ღირსი, ვინმე, ვინც ჩემს წინ გამირობას ჩაიდენს. ჩემში ვნებაა და ის კი სულ იწვის. ვიცი, სიმორცხვია ვნებისვე სამიზნე.“

ის მეფე პოეტთან ახლოს მივიდა. ცხელი მისი სუნთქვა მკერდს უნათებდა. სიტყვა დაუდნა მხურვალე პირიდან და დაასუნთქვა თავი ბაგესთან:

45

„ჩვენ უცნაურ დროს ვცხოვრობთ და ახლა, მე გულში მხოლოდ სიცოცხლე მენვის. შენ შებრუნდები უსიტყვოდ ნახვალ. მრჩება სიმშვიდე უშენო სევდის.

მიტხარი სიცოცხლე ვისი ხვედრია? ნუთუ ამბავი ასე სრულდება?  
ნასვლა თუ გინდა წადი თუ გდევნიან. შენი ნებაა და შენი უფლება.“

მეფე პოეტმა ჩუმადვე უთხრა:

„ირგვლივ ვისაც გსურს იმათ იზიდავ, მაგრამ არ გყოფნის ძალა, სითამამე,  
თავი დაუთმო, მარცვალი მიწიდან, როგორც ღვივდება და იზრდება ცამდე,  
ვნებაც ასეა ის შენში ღვივის, შენ მასში ვლინდები მიწა იცოდე,  
როგორც ყურძენი ვლინდება ღვინით და მისგან იბადება ახალი სიცოცხლე.

სიყვარულია შენი სითამამე და სწორედ ისაა შენივე შიშიც.  
ვინც ღვინოს დაწურავს ისვე ითამაძებს. ვისაც გზა უხმობს სწორედ ის მიდის.  
ვნებამ შენი სუნთქვაც თან აიყოლა, ზედ ააბნია ვარსკვლავთ სამკერდედ,  
თითქოს იყო და არა იყო რა, ის ერთი კოცნა, თითქოს სვამდე რძეს,

ანდა წყალს სვამდე მდინარის პირას, მაგრამ წყურვილს კი ვერ ინაყრებდე,  
ბაღჩა საზღაპრე ვინ დაითმინა, სხვა შესართავი სხვა მდინარემდე,

ვინ მოიარა, ისიზმრა როცა და მოილოცა ძვირფას თვლებითვე,  
შენ ღამით დაგრჩა მის ტუჩთან კოცნა, მე კი სიჩუმეს ხმად მივერითმე,

დავიმარტოვე თითქოს სამყაროც და ერთი პატარა ნაწილი მისი  
ქარს ავატანე და ახლა ვხარობ, თავი გაუხადე სიცოცხლის ღირსი.  
სიცოცხლე ლამაზო შენ თვითონა ხარ. მიეცი ნება შენშივე იხაროს,  
როგორც შროშანი ხარობენ მინდორთა, ირგვლივ ყველასთვის  
აფრქვევენ სიხარულს.“

20

მეცნიერმა თქვა: „სკეპტიკოსი ვარ. სასწაულები თვალთ არ მინახავს.  
თუ როგორ შეიქმნა სამყარო ზეცათგან, სულ არ მივანერტ ჩვენ მას ღვთის ნახატს.  
ყველაფერსა აქვს თავისი ახსნა. რაც უფრო ბევრს ვიგებთ კითხვებიც გვიჩნდება.  
გზას თუ მივაგნებთ სამოთხის ბალთან, ჩვენ მასაც ავხსნით სხვა და სხვა ნიშნებად.

ჩვენ არც გამოვრიცხავთ ღმერთის იდეას. ის კაცობრიობის გენიას ამტკიცებს.  
ჭეშმარიტებას ეჭვებიც ბევრი აქვს, ღმერთის აქყოფნის ყველა სამხილებს,

47

ვიაზრებთ როგორც შედეგს და მიზეზს და ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენს გზას მივყვებით. ქრება ენერგია ჩნდება და იწყებს, ისევ თავიდან გაჩენას კითხვების.“

„რწმენა და გააზრება ძმები არიან,“ თქვა მეფე პოეტმა და ცაას ახედა.  
„აზრები შენს ტვინში სხვა და სხვა ცანია. ეჭვებიც ქრებიან შენივე სახედან, როცა კი პირისპირ სიმართლეს უყურებ. ხვდები თვითონ ხარ ღვთის სასწაულიც. სუნთქვა აერთებს მართლაც სულ ყველას, ის ენერგიაც გულში გაუვლით.“

ძალას რომლისაც შენ ასე ეძებ, გინდა ამოხსნა და არ გიკვირდეს.  
შედეგებს აგროვებ, მიზეზთა შემკრებს. მტკიცებულებებს იღებ სინმინდედ.  
გონებამ მიზეზი შედეგებს მიართვას თუ ერთად ვივლით ერთნი ვიქნებით.  
ერთი სული აქვთ ნვეთსა და მთლიან ზღვას. კაცის შნო არის ძალაც ღვთის ნების.“

მგოსანი დადუმდა. პასუხიც აქ არის. მზე გადმოიღვსა შუადღის დანად.  
ცა ჩამოისუნთქა გამქრალი ვარსკვლავით, ხელები გაშალა და ასე ბრძანა:

„სიყვარულიც არსად ქრება, დაწერილსაც ველარ ნაშლით.  
სასწაულს გასურს თვალი მოკრათ? ღმერთის საიდუმლო ნახატს?  
იტყვი თქვენთვის - დავინახავთ და ვინამებთ მხოლოდ მაშინ.  
კანონი კი ასეთია - თუ იწამებთ დაინახავთ.“



„მე მეთევზე ვარ. ბევრი საქმე მაქვს,“ დაიწყეს მის გვერდით მებაღურებმა.  
 „ჩვენ ზღვის ხალხი ვართ, ვიცით აქვეა, თავისუფლება, ზღვად გვეგულება,  
 ბედნიერების დანიშნულებაც, ჩვენი ამქვეყნად საცხოვრებელიც,  
 თუ უსასრულო განისრულება, კაცი ერთ წამშიც გაცხოველდები,

მაშინ სადღაა აზრი განსწავლის? ბევრი წმინდანიც მეთევზე იყო,  
 ზღვაში ყოფნისას ხშირად გავწამდით, დაისის გვირგვინი მზესავსე დისკო,  
 როგორც კი ქრებოდა ხელცარიელნი, ნაპირს ვბურნდებოდით და იქვე ვეყარეთ,  
 თითქოს ცარიელ კალოებს ვლენავდით და ასე იყო ბევრი ჩვენამდეც,

გვითხარი შრომა ყოველთვის ფასდება? სამართლიანობა არსებობს ქვეყნად?  
 რით განსხვავდება კაცისგან არსება? თუ კი ორივეს ღვთის სული ედგათ?

მეფე პოეტის სიტყვები ესმათ:

„ყველა განსხვავდება ან ერთმანეთს ჰგავს, მხოლოდ და მხოლოდ თავის არჩევანით.  
 ვინ გამოხურავს ან ვინ ალბებს კარს, თავისუფლებაც სწორედ აქ არის.“

ირაო შეეკრა სულ მალლა არწივს. ცას აგვირგვინებდა ღვთაებრივ ცოდნად.  
კვიპაროსების ხეების გასწვრივ, შუადღის შუქიც ხალხს შორის კრთოდა.  
ფერადი ჩრდილები ქარგავდნენ მოედანს. დრო ახლა მათ თვალწინ თითქმის გამქრალიყო.  
მწყურვალი მწყურვალთან წყალს პეშვით მოიტანს. ყველა ფიქრობდა ამბავს სათავისოდ.

და მეფე პოეტი ბრძანებდა ასე:

„მხოლოდ სიკეთეა სამართლიანობა და არაფერი სიკეთის გარდა.  
ზღვა თავის ზღაპარს თქვენ გიამბობდათ. ყოველი ტალღა წიგნის გვერდს გავდა.  
ზღაპარი ყოველთვის კარგად მთავრდება. შრომას ყოველთვის ჯილდო თან ახლავს.  
შრომა ანსხვავებს კაცს და არსებას, სამყაროს კანონის ნების თანახმად.

მშრომელის გზა არის მხოლოდ მოთმინება. სწორედ მოთმინებით იზიდავთ მიზანს.  
ზეცის ნაყოფი მიწიდან მწიფდება. აღმართი ზევიდან თავდალმართს მიჰგავს.  
ჯილდოს ის იღებს ვინც მწვერვალზეა. მგზავრი უმიზნოდ დიდ გზას ვერ გადის.  
ზღვაც ყოველივე წვეთით სავსეა. მოთმინებაა სწორედ მწვერვალიც.“

„ჩვენ კი მმართველების ახალი თაობა ვართ,“ თქვეს ყმანვილებმა ხალხის წიაღიდან. პოეტის პირისპირ ერთადვე დადგნენ, ჩქარობდნენ, პირველი, ხმას ვინ მიაწვდიდა: „ჩვენთვის პოლიტიკის მეცნიერებანი ცხოვრების მრწამსია, ჩვენ ლიდერები ვართ. ვისაც სიბრძნე აქვს მწყემსიც ის არის, ბევრს ვარჩევთ ცოტადან, ცოტას ბევრიდან.

არის თუ არა ყოფის პირობა, სახელმწიფოსა და კაცს შორის ხიდი?  
კანონი ათანაბრებს ბნელსა და სხივოსანს. თანაფარდობაც საითლა მიდის?“

და მისი პასუხი იყო ასეთი:

„მე თავისუფალი მოქალაქე ვარ. თავისუფლების არვის ვცნობ ზემდეგს, მეფე არაა კანონი, კანონი არის მეფე. კონკრეტულია ცოტა რამ ქვეყნად, ინტერესებიც და არჩევანიც, კონკრეტულია ყოველი გათვლაც და სათითაოდ განარჩევადი,

პატიოსნებაც ხშირად იკარგება, როცა პოლიტიკას უზნეო ატარებს, სულ ყველაფერი ქვეყნად სიყალბეა, კანონი თუ არ კრავს დიდებს და პატარებს.

ლიდერი ხალხშია, ხალხს წინ მიუძღვის, რწმენას ასხივებს, უძლებს და იმარჯვებს, ღმერთმეტყველია და არა პირუტყვი, ძალას ანიჭებს თვითონ სიმართლე.

ბოსი კი სხვა არის, ის მაღლა ჯდება, ხალხში არ არის, მაგრამ უბრძანებს. სიჩუმედ მიიჩნევს მშვიდობის ცნებას, თუ ვინმეს უფროხის, უფროხის გულმნათებს. ახლა აირჩიეთ ვინ გინდათ იყოთ, თუ ლიდერები ხართ უცებ მიხვდებით, გულშივე იგრძნობთ ყინვას ან სითბოს, ხალხს გაიყოლებთ ამბის წინსწრებით.“

23

ამბობდნენ ბევრი მის ირგვლივ მყოფნი: „თავს სიკვდილისგან ჩვენ ვერ დავიცავთ, საფლავის მტკაველი მიწაც კი ჰყოფნით, მათ ვინც იპყრობდნენ მთელს დედამიწას. ახლა გისმენდით, ძალაუფლება, ჩვენთვის გასაგებ ენაზე ახსენი.“  
„ყველა სიკეთე უკან ბრუნდება. თუ მას განიცდით მთელი არსებით.

დიახ ყველაფერი თქვენგან წასული, სამყაროს გავლით ბრუნდება თქვენთან,“  
მეფე პოეტმა ხალხში გაიარა, თვალეში ძალა და სიმშვიდე ედგა.  
მას აჰყურებდნენ, ბევრს ის უყვარდა. ბევრს კი ის სძულდა ან შურდა მისი.  
ის ყველას უხმობს ლხინის სუფრასთან. დიდ სიმფონიად მისი ხმა ისმის:

52

„მე განურჩევლად ყველას მოგმართავთ. მზე როგორც ყველასთვის თანაბრად ანათებს ცოცხალს ყოფნა სურს ისევე ცოცხალთან. მე მხოლოდ გავცემ და არ ვფლობ არაფერს. აწმყოს თქვენ გუშინ მომავალს ეძახდით. ხვალ კი ის წარსულის ექოდან მოისმის. ყველა თქვენ ნათქვამს, ფიქრსა თუ შეძახილს, გავლენა მოაქვს ყოველი დროისთვის.

დროის სიყალბეს პერანგად იცმევთ. სინათლის ძალა კი ყველა სხივს დააქვს. იცოდეთ, თქვენა ხართ დროცა და სივრცეც და ყველაფერი რაც მათ მიღმაა. სიჩუმემ ღირსგყოთ ერთად მოვჩანდეთ, ცოცხალი ცოცხალს წყალს უწყალობებს. დღეს გარიჟრაჟის თითქოს მოსვლამდე, ვარსკვლავნიც გავდნენ სიზმრის მგალობლებს.“ და მათი შუენი, ბაცი შეთრთოლვით დასალიერის ბოლო მიჯნებთან, იდგნენ... სასწაულს ალბათ ელოდნენ... სადღაც უფრო შორს გადაბიჯებას. დილის და შუადღის ნისლზე მოტივტივე, მათთვის ყველაფერს ასე ყვებოდა, სევდის ათინათი მზერას უციმციმებს, ვარდს მინაზე დებს მისსავე ღეროსთან:

„მესაჩუქრებით მე ალბათ ღვთისგან თუ მიჩუქნია თავისუფლებაც, უფლება თქვენთვის დარჩეთ ის ვინც ხართ, ღამეც დილისგან განიკუთრება, გადანათდება სხვადასხვა გზებად, ეს ბოლო წამიც ახლა მინამებს, სიზმრიდან გავდივარ თითქოს და ქრება, გამოღვიძების მთელი სიმწარეც.

წყალზე დაწერდი სიზმრად რა ვნახე არა ქალაღზე.  
მთელი დედამინა ყოველი თქვენგანის გზას მიათრევდა.  
გზა თქვენს ნაბიჯებს, როგორც სიტყვებს ისე გადაწერს.  
გზების სიშორე გაახლოვებთ თქვენ ერთმანეთთან.

მკერდით ატარებთ ჯვრებს, სიმბოლოებს, ნახევარმთვარეებს.  
თუ გინდ მანდალებს, პენტაგრამებს, დავითის ვარსკვლავებს.  
გზებს გაივლით და ერთი ცისქვეშ ერთნაირად მათ დაამთავრებთ,  
ბევრნი ჩაქრებით და ისევ ბევრნი აივარსკვლავებთ.

მთაზე აღიოდა მთელი ჩემი გზა, თავსაც შევატყე, ყველგან ვეძებდი ყოფნას, სიმშვიდეს,  
სულის სარგებელს.  
მთაზე ავედი, სამყაროს ზევით, ზედ მთის მწვერვალზე... და იქიდანაც ცად ავაბიჯე, გზა  
გავაგრძელე.

თქვენ გაიღვიძებთ ახალ სამყაროში, ყველა თქვენნიანი თქვენ იქ დაგხვდებათ,  
თითქოს საქმეებიც სწორედ ახლა მორჩით, თქვენს წინ იხილავთ ღმერთის სახეებს,

ის ისეთია, როგორც თქვენ ხართ, ზუსტად, სიტყვა სიტყვით თქვენივე ასლი, თუ დგახართ ახლოს სამყაროს სხვენთან, სიტყვის სურნელება თქვენ სუნთქვებს ასდით, და თქვენ ერთმანეთს სიზმრებით ამკობთ თუ ბავშვები ხართ ოთხი, სამი წლის, და არ არსებობს აღარსად სხვა დრო, თქვენ თუ აქა ხართ და აქ განიცდით.“

დასალიერისკენ სახით შებრუნდა, ჟამი მოახლოვდა იქით გადასვლის:  
„ჩემი სული ფრენს ახლა შენს სულთან,“ შესრულდა ფიქრით და აი, ის გადადის, აისისა და დაისის იქით, პლანეტების და ორბიტებს იქით, იქით უკიდურეს სამოთხეებში ადამიანთა გულისკენ მიდის.

სიტყვა დაასრულა და წამიც შეიკრა. შეიკრა სამყაროს ოთხივე მხარეც. მიხვდნენ, შეიცვალა სამყაროც დღეიდან. მომსვლელნი მოვლენ. წამსვლელნი წავლენ. რაღაც დიდებული მათ თვალწინ აღსრულდა. თვითონაც იმ დიდის ნაწილი გახდნენ. უსასრულობა დამოყვრდა სასრულთან. მთლიანად ხედავდნენ სამყაროს სახეს.

თავიანთ მომავალ იმედებს ჭვრეტდნენ. გრძნობდნენ ბედისწერა სად განედინება. სიცოცხლისა და სიკვდილის შემდეგ, სიცხადეც მათი, მათივე სიზმრებად, გარდაიქმნებოდა და იფანტებოდა, როგორც საიდუმლო პასუხებს იცავს და აწყურებდნენ ხმაგაკმედილნი, როგორ ტოვებდა პოეტი მიწას.

მეფე პოეტმა ფერი იცვალა, ის ყველას თვალწინ გახდა გამჭვირვალე.  
როგორც დაფარული ხდება სიცხადე, თანაფარსკვლავედნიც სივრცეებს ტვირთავენ,  
სხვა და სხვა შუქებად ის გამოვლინდა, გადაიშალა უსასრულობად,  
მარადისობა წუთისოფლიდან, სიტყვებს სიმდიდრედ უსახსოვრებდა.

ისინი იდგნენ საუნჯით სავსენი. გულის სიღრმეში გრძნობდნენ მის სიტყვებს.  
მის სულს ხედავდნენ ცას როგორ ავსებდა, ათასწლეულიც მის სახელს ირქმევს.  
დიდება პოეტს, ის გულებს ამხელს, ერთად აანთებს, სიტყვითვე დანვავს,  
ფერფლს მიმოაპნევს და თავის სახელს, ირმის ნახტომზე შეაბნევს ვარსკვლავს.

მას საუკუნო დიდება მოეღოს, ერთია ქვეყნად, ეს ყველამ იცის,  
პირველად იყვნენ სიტყვები პოეტის, ოქროს სინათლე სულის და სისხლის.  
ექოდ ემჩნევა ათასწლეული, ზვარაკი, როგორც ღმერთის ქმნილება,  
იქით ცას ხედავს ვარსკვლავს წრედ უვლის, აენტო, მნათობს და ეგვირგვინება.

სიზმარი ყველას ცხადად ამოჰყვა, ამოელვიძათ და უსასრულო,  
წამი სიცოცხლის მან ყველას ერთად, უნდათ აჩუქოს და უსახსოვროს.  
იციან ნიჭი ზნეა გენიოსის, წინასწარმეტყველის და ცხადია ღმერთის,  
სული შუქებით ერთად შეიმოსა, ის ერთი სიტყვით მთელ სათქმელს გეტყვის.



ასეთ სულს ადევს ბეჭედი სიბრძნის, ცნობიერების უკვდავი წყაროდან.  
ნუგეშად ყველგან მუსიკა ისმის, პოეზია თუ სიყვარულს გამოთქვამს.  
სიყვარულია მიზეზი სიცოცხლის, აღმასს ბრილიანტი გულშივე უდევს,  
თუ გინდ სამყარო მთლიანად იწვოდეს, ადამიანთა ის შეკრავს გულებს.

დავით დეფი  სიასLOVE



## სარჩევი

და მეფე პოეტი ტოვებდა ქვეყანას... .. 7	თავი 12 ..... 29
თავი 1 ..... 10	თავი 13 ..... 31
თავი 2 ..... 11	თავი 14 ..... 34
თავი 3 ..... 11	თავი 15 ..... 39
თავი 4 ..... 12	თავი 16 ..... 40
თავი 5 ..... 14	თავი 17 ..... 42
თავი 6 ..... 17	თავი 18 ..... 44
თავი 7 ..... 19	თავი 19 ..... 45
თავი 8 ..... 20	თავი 20 ..... 47
თავი 9 ..... 22	თავი 21 ..... 49
თავი 10 ..... 24	თავი 22 ..... 51
თავი 11 ..... 27	თავი 23 ..... 52

